სამაგისტრო პროექტი:

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის შეფასება სექტორში დასაქმებული პერსონალის მიერ

გიორგი რობაქიძე

ირინე ქურდაძე

სალომე თაბუკაშვილი

ჯგუფი N1

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2016)

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი რობაქიძე

ირინე ქურდაძე

სალომე თაბუკაშვილი

თბილისი

2016 წელი

20 ივნისი

აბსტრაქტი

შესავალი: სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ჯანდაცვის სისტემის შეფასების საკითხებს, ამავე სექტორში მომუშავე პერსონალის თვალსაზრისით. საქართველოში განხორციელებული უამრავი რეფორმის ფონზე ჯანდაცვის სისტემაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ იდენტიფიცირებას, დამუშავებას და მიღებული შედეგების მიხედვით რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში ამაღლდება ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ხარისხი.

მეთოდოლოგია: დასმული ამოცანების გამოსავლენად და გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა, ასევე მეორადი მონაცემების დამუშავება.

შედეგები: ჩატარებული კვლევების შედეგად მკვლევართა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ/საკვლევ კითხვების გარშემო გამოიკვეთა რესპონდენტთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები ჯანდაცვის სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემებისა და მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ, კერძოდ: სამედიცინო მომსახურებაზე და ფარმაცევტულ პროდუქციაზე (მედიკამენტებზე) ფასების ზრდა, სამედიცინო პროტოკოლებისა და გაიდლაინების არასრულფასოვნება, უწყვეტი განათლება/განვითარების ხელმისაწვდომობაზე ბარიერები, არსებული საკანონმდებლო სივრცის ხარვეზები და ასევე პროფესიული დაზღვევის აუცილებლობა და სისუსტე.

დისკუსია, დასკვნა: კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა მონაცემების დამუშავება, განხილვა, დისკუსია და რეკომენდაციების ჩამოყალიბება იდენტიფიციებულ აქტუალურ საკითხებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო დაზღვევა, უწყვეტი პროფესიული განათლება, ჯანდაცვის სისტემის კანონმდებლობა, გაიდლაინები/პროტოკოლები, სამედიცინო მომსახურების ტარიფები

ABSTRACT

Introduction: Master degree paper consists of the issue about health system assessment, from the perspective of health professionals. There are a lot of important subjects in the health system field which should be assessed in the process of system reformation. System needs monitoring and evaluation and hence recommendations should be well determined.

Methodology: Survey was conducted based on qualitative and quantitate research, additionally desk research methodology was slightly conducted.

***Results*:** Based on gathered data a lot of important issues were identified from the perspective of respondents, as far as understanding and vision of health professionals are important to have better understanding regarding system performance and problems, such are: the role of pharmaceutical industry, health cost and expenditure, clinical guidelines and protocols, educational and quality assurance. Additionally, malpractice insurance and legislative issues were under the important concern.

Discussion, Conclusion: Based on research and data analysis important findings were identified and recommendations were developed.

Key Words: Universal health coverage governmental program, private insurance, health professional education, health low and legislation, clinical guidelines and protocols, health service price.